

ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ

"ქართულ-ოსური კონფლიქტი" არის საქართველოში საბჭოთა სამართლებრივი მემკვიდრეობისა და ე.წ. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპთა დანერგვის პირდაპირი შედეგი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ, რუსეთისა და საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილს.

ოლქის შექმნა იყო ერთგვარი ხარკი ოსი ბოლშევიკებისადმი, რომელნიც ებრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. საქართველოს ხელისუფლების მიერ 1920 წლის ამბოხის ჩასახშობად გამოყენებულმა რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა ოსურ სოფლებში ჩაატარეს სადამსჯელო ოპერაციები, რასაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლი, ნახანძრალეები და ოსთა დღემდე მოუშუშებელი ჭრილობა.

1922 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურის რესპუბლიკის კონსტიტუცია უკვე აფიქსირებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებათა კვალობაზე, ეს სტატუსი შემდგომში არ შეცვლილა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპენსაციის რეგულაციებში იხილეთ საკითხები, როგორცაა სსსრ-ს მთელი საშინაო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა; ავტონომიების კონსტიტუციათა (აფხაზეთისა და აჭარის) და დებულებათა (სამხრეთ ოსეთის) დამტკიცება; ავტონომიათა ხელმძღვანელობის არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებათა შეჩერება თუ გაუქმება.

"სამხრეთ ოსეთის" ადმინისტრაციული მოწყობისა და მისი ორგანოების კომპენსაციის დადგენის თვალსაზრისით ყველაზე დეტალური დოკუმენტია 1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ.

1925-1927 წლებში საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე განიხილებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეა, (მათ შორის საქართველოს შემადგენლობაშიც) რომელმაც გადაწყვეტა ვერ ჰპოვა.

ქართულ-ოსური ურთიერთობების დამაბზა იწყება 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მას მძლავრი ბიძგი მისცა სსრკ-ში 1985 წელს დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა, რომელმაც ამოატივტივა ორივე ხალხის წინარე საბჭოური ისტორია და რუსეთის იმპერიის ნგრევისდროინდელი დაპირისპირება. საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების პარალელურად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გააქტიურდნენ აფხაზური და ოსური სეპარატისტულ მოძრაობები.

"სამხრეთ ოსეთში" კონფლიქტი ჩამოყალიბდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კრიმინალური და ეთნო-ნაციონალური დაპირისპირებებათა შემადგენელი ნაწილებით. მან თავისი გამოვლენა ჰპოვა: ა) ცხინვალისა და თბილისის "კანონთა ომში", ბ) ოსური და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა და პუბლიცისტთა დისკუსიებში, გ) ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში.

კონფლიქტის ესკალაციის საწყისი ფაზები შეესატყვისებოდა საქართველოში და მთლიანად სსრკ-ში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებს. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში "არაფორმალთა" მოძრაობის გაძლიერებამ და სსრკ-ს კოლაფსის დასაწყისმა.

დაპირისპირების პროცესის ერთ-ერთ პირველ გამოვლინებად იქცა ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე დებატები საქართველოს კონსტიტუციაში შესაძლო ცვლილებების შეტანისა და ენის საკანონმდებლო სტატუსის შესახებ; აღნიშნულმა დისკუსიამ პარალელური

ტენდენციები გამოიწვია იმდროინდელი საქართველოს სსრ ავტონომიურ წარმონაქმნებშიც - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. პროგრამით განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, როგორც სახელმწიფო ენის გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ; საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში ქართულ ენის საყოველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა.

აღნიშნულ დოკუმენტს მოჰყვა დამაბულობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთში. იგი გამოყენებულ იქნა სეპარატისტული მისწრაფებების მქონე აფხაზური და ოსური არაფორმალური გაერთიანებების მიერ შემდგომი ქმედებებისათვის. კუმოდ, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება გახდა საბაზი არაფორმალური ორგანიზაცია "ადამონ ნიხასის" მიერ ცხინვალში პირველი მიტინგის გამართვისა.

1989 წლის 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე, ხოლო იმავე წლის 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა თაობაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენა ოსური ენა".

"კანონთა ომი" სრული მასშტაბით დაიწყო 1989 წლის 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-12 საგანგებო სესიით, რომელიც გაიმართა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა 26 სექტემბრის სესიის მოთხოვნა ოსური ენის შესახებ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლების შესახებ; გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდაქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრ უზენაეს საბჭოს, რათა განეხილათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი.

სესიამ აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება "ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ", რომლითაც ოსური ენა აღიარებულ იქნა სახელმწიფო ენად.

1989 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილებები, როგორც კანონთან შეუსაბამო (უხეშად იქნა დარღვეული სესიის მოწვევისა და ჩატარების წესი და მასზე განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც აღემატებოდა საოლქო საბჭოს უფლებამოსილებას).

ამავე პერიოდში ეროვნული მოძრაობის ლიდერთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ძალისხმევით, საქართველოს ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების მიერ იდგმებოდა სამართლებრივი ნაბიჯები ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენის მიმართულებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებების შესახებ და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ.

პარალელურად, ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩებოდა ცხინვალში მიმდინარე პროცესები. რეაქცია, ამ პროცესებზე, ძირითადად, საკმაოდ შეურიგებელი იყო. 1989 წლის 23 ნოემბერს დაახლოებით 15 ათასამდე ქართველი, ეროვნული მოძრაობის ლიდერების წინამძღოლობით დაიდრა ცხინვალისაკენ, რაც ოსური მხარისაგან აღქმული იქნა, როგორც ქართული საზოგადოების მიერ ძალის დემონსტრირების მცდელობა.

1990 წლიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი პარტიული ნომენკლატურა უერთდება "ადამონ ნიხასის" პოზიციებს და ხდება ამ ორგანიზაციის რადიკალური მოთხოვნების გამხმოვანებელი.

ამ პერიოდში მასმედიის საშუალებებში ფართო მასშტაბი მიიღო ოსური და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიდერთა და პუბლიცისტთა დისკუსიებმა, რომლებიც ურთიერთპრეტენზიებში იზრდებოდა. ასეთ ფონზე საკავშირო ცენტრის მიერ დამუშავებულ იქნა რიგ რესპუბლიკაში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირების შემგომი გაღვივების იურიდიული ბაზა. კერძოდ, მიღებულ იქნა ახალი კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად ხელი შეუწყო ავტონომიურ წარმონაქმნებში შექმნილი სპერატისტული განწყობის შემდგომ გაღვივებას.

ცენტრისა და რესპუბლიკების სამართლებრივ-პოლიტიკური დაპირისპირების, ისევე, როგორც რესპუბლიკების შიგნით მიმდინარე ეთნიკური გაუცხოვების ფონზე დადგენილებების ომი თბილისსა და ცხინვალს შორისაც გაგრძელდა. ამ დროისათვის უკვე დაღვრილი იყო სისხლი. გაჩნდნენ პირველ დევნილები ორივე მხრიდან.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-20 მოწვევის მე-14 სესიამ მიიღო დეკლარაცია "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ", რომლითაც ცალმხრივად (არ ჰქონდა რა სათანადო კომპეტენცია სსრკ კონსტიტუციის ფარგლებში) მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივი გასვლის შესახებ.

ეს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1990 წლის 21 სექტემბერს გაუქმებული იქნა.

1990 წლის 16 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს მე-15 სესიამ დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება ("სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ" 1990 წ.) და, გარდა ამისა, აირჩია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა **1990 წლის 2 დეკემბრისათვის. სესიამ დაამტკიცა 1990 წლის 20 სექტემბრის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ".** სესიამ უკანონოდ მიიჩნია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნული, პირველად, საქართველოს ისტორიაში მრავალპარტიული ხასიათის მატარებელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკური ოსი მოქალაქეების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისათვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიმართა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს, მიეცათ სწორი შეფასება სეპარატისტთა სახიფათო მოქმედებებისათვის,

რომელთაც შეიძლება მოჰყოლოდა საერთო დესტაბილიზაცია და მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

1990 წლის 28 ნოემბერს "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16(2) სესიის გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაერქვა სახელი და ეწოდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. იმავე სესიაზე სსრკ უზენაეს საბჭოს ეთხოვა ეცნო "სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად. იმავე სესიის გადაწყვეტილებით 1990 წლის 9 დეკემბრისათვის დაინიშნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ცხინვალის ოფიციალური მონაცემებით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 71%-მა.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გაუქმებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მასთან ერთად გაუქმებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო - კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. გარდა ამისა, ცნობილ იქნა ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

ამ კანონში აღნიშნებოდა, რომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ძალები ცდილობენ საქართველოს ჩამოაცილონ მისი ისტორიული, გაუსხვისებელი ნაწილი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების მიზეზებად კი მოხმობილი იყო შემდეგი არგუმენტები:

1. 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ;
2. ოს ხალხს აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა სსრკ-ს ტერიტორიაზე;
3. სამხრეთ ოსეთში საქართველოში მაცხოვრებელ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს.

იმავე დღეს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მიიღო კანონი საგანგებო წესების შესახებ". შესაბამისი შესწორება შეტანილ იქნა საქართველოს კონსტიტუციაშიც.

1990 წლის 14 დეკემბერს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის მიერ გაკეთდა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ "საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება, მიუხედავად მისი სამართლიანობისა, ამ მომენტისათვის არის გაუმართლებელი".

კონგრესი, ერთდერთი არ იყო საქართველოში, რომელსაც აფიქრებდა უზენაესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების მართებულება. კანონის წინააღმდეგ რამდენიმე დეპუტატმაც აღიმაღლა ხმა, მაგრამ მთლიანობაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის წაშლა საქართველოს პოლიტიკური რუკიდან ასახავდა საქართველოში დომინირებულ განწყობას.

ცხადია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ლიდერთა გადაწყვეტილებები ისტორიულად და სამართლებრივად გამართლებული არ იყო, მაგრამ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გატარებული საპასუხო ღონისძიებებიც არ იყო სრულად ადეკვატური, რამაც განაპირობა კიდევ კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია.

1991 წლის 7 იანვარს გამოიცა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ. ბრძანებულებაში საბჭოთა კონსტიტუციისათვის შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული როგორც ცხინვალის, ისე თბილისის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსის ამაღლებისა თუ ოლქის სრული გაუქმების შესახებ მიღებული დადგენილებები. უკანონოდ იქნა აგრეთვე მიჩნეული საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალსა და ჯავის რაიონში საგანგებო წესების გამოცხადება და მათ შესასრულებლად რესპუბლიკის შსს და სახელმწიფო უშიშროების ნაწილთა, ისევე, როგორც სსრკ შინაგანი ჯარის მოხმობა. ბრძანებულების თანახმად სამხრეთ ოსეთიდან სამ დღეში უნდა ყოფილიყო გაყვანილი ყველა ფორმირება სსრკ შინაგანი ჯარების

გარდა; საქართველოს ხელისუფლებას 5 დღის ვადაში უნდა ეცნობებინა სსრკ პრეზიდენტისათვის ვითარების ნორმალიზაციისათვის მიღებული ზომების შესახებ.

1991 წლის 9 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ. დადგენილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული უარყოფა არ შეუძლია საბჭოთა კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას, რომლის ძალითაც რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილება განუხრელად უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულმა ნებისმიერმა ორგანომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებს ეროვნებებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით, მაგრამ დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლებების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო სამართალიც კი მათ ანიჭებს მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველა სფეროში (ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის და სხვა აქტები), რაც საქართველოში ყოველთვის იყო და არის უზრუნველყოფილი ყველა ერის წარმოდგენლებისათვის.

იმავე დადგენილებით ყოველგვარ იურიდიულ და მორალურ საფუძველს მოკლებულად ჩაითვალა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, რეგიონიდან გამოყვანილი უნდა იქნას ყოველგვარი შეიარაღებული ფორმირება - გარდა სამინისტროს შინაგანი ჯარისა.

1991 წლის 20 თებერვალს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

1991 წლის 23 მარტს გაიმართა "სამხრეთ ოსეთის" ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთობლივი კრება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება "სამხრეთ ოსეთში" ვითარების სტაბილიზაციის კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ.

იმავე დღეს (1991 წლის 23 მარტი), დაბა ყაზბეგში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის შეხვედრა. ხელმოწერილ იქნა ოქმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედებების შეთანხმების შესახებ. მხარეებმა დათქვეს შემდეგი:

..რუსეთის სფრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთიან რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას.

ამ დოკუმენტში, ფაქტობრივად, აღიარებულია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღარ არსებობს; ანუ 23 მარტს რუსეთი აღიარებს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმებულია და მას მოიხსენიებს "ტერიტორიად". თუმცა სულ რამოდენიმე დღეში (1991 წლის 31 მარტი) რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ღებულობს დადგენილებას "სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის შესახებ", რომლითაც ის საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენას. ყრილობამ მიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოსაც, მიეღო ზომები "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე ნორმალური ვითარების აღსადგენად. დოკუმენტს ხელს აწერს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინიც.

მარტში ზ. გამსახურდიას მიერ ცხინვალში შეყვანილ იქნა ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული გვარდიის ნაწილები. მოსკოვისა და თბილისის მიმოწერის პარალელურად რეგიონში გრძელდებოდა და ფართოვდებოდა სამხედრო დაპირისპირება.

1 აპრილს სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მდგომარეობის შესახებ. დადგენილებაში აღინიშნა, რომ ბოლო დღეებში ვითარებამ ოლქში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, იქ მყოფი სსრკ შსს შინაგანი ჯარის კონტიგენტს უკვე აღარ შეუძლია უზრუნველყოს სსრკ კონსტიტუციის დაცვა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კვლავ დაეკისრათ სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესრულება.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით ერთხმად მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.

1991 წლის აპრილ - დეკემბერში კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გრძელდებოდა როგორც შეიარაღებული ისე სამართლებრივ-პოლემიკური ფორმით. საქართველოში სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო საბჭომ გააუქმა ზ. გამსახურდიას დროს მიღებული ბევრი გადაწყვეტილება, მაგრამ "სამხრეთ ოსეთთან" დაკავშირებით იგივე პოზიცია შეინარჩუნა.

სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის 21 თებერვალს მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში არსებობს ორი ავტონომია - აფხაზეთისა და აჭარის. "სამხრეთ ოსეთზე" ლაპარაკი არ არის.

1992 წლის 29 მაისს ცხინვალში ხელმოწერილ იქნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი.

1992 წლის 8 ივნისს ვლადიკავკაზში გაიმართა ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა. მიღებულ დადგენილებაში აუცილებლად არის მიჩნეული ჩრდილოეთ ოსეთის, "სამხრეთ ოსეთისა" და საქართველოს ხელისუფლებების ხელმძღვანელების შეხვედრა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მიზნით, ერთობლივი ოთხმხრივი მოლაპარაკებების გამართვა რუსეთის მხარის მონაწილეობით.

1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში შედგა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ა. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. ხ. გალაზოვის შეხვედრა. ხელმოწერილ ოქმში

მხარეები მორიგდნენ:

1. მიაღწიონ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ქართველთა და ოსთა ზონაში.
2. 1992 წლის 12 ივნისამდე შექმნან მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი კონფლიქტში ჩაბმული შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენელთა მონაწილეობით. *(არსად არის მითითებული, ვინ წარმოადგენს ამ ოთხ მხარეს. გასათვალისწინებელია მორიგების მე-9 პუნქტი: "მიზანშეწონილად მიიჩნიონ კონფლიქტის მოწესრიგებისთვის მოსალაპარაკებელ პროცესში რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის რესპუბლიკის მონაწილეობა.")*
3. შეუდგნენ "ავღანელ" მეომართაგან ერთობლივი მშვიდობისმყოფლური ქვეგანაყოფის ფორმირებას კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით.

1992 წლის 24 ივნისს დადგინდა (სოჭი) ბ. ელცინსა და ე. შევარდნაძეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ.

ვწოდოკუმენტის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ეს შეთანხმება დადებულია რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, რათა(!) ყოველმხრივ მოწესრიგდეს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის.

შეთანხმების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აღნიშნულ ზონაში ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული ფორმირების გაყვანის, თავდაცვის ძალების დაშლისა და უშიშროების

რეჟიმის უზრუნველყოფისადმი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით, რომელიც განახორციელებს თავის ფუნქციებს ყაზბეგის მორიგებათა შესაბამისად შექმნილ სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფთან ურთიერთმოქმედებით. ამასთან, არ არის ნათელი, რა შემადგენლობით იქმნება შერეული საკონტროლო კომისია. შეთანხმების მიხედვით მას ქმნიან კონფლიქტის მხარეები, ასეთად კი შეთანხმება ასახელებს ოსებს და ქართველებს. დასაზუსტებელია, თუ ვინ იგულისხმება ოსებში. თუ მხოლოდ სამხრეთელები, ცხადია, რომ რუსეთი პროცესს მიღმა რჩება, ხოლო თუ ჩრდილოელებიც, მაშინ რუსეთი საკუთარ თავს აღიარებს კონფლიქტის მხარედ.

ნებისმიერ შემთხვევაში შსკ-ს უნდა ემოქმედა “ყაზბეგის მორიგებათა შესაბამისად შექმნილ სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფთან ურთიერთმოქმედებით.” ყაზბეგის მორიგების მიხედვით კი უნდა შექმნილიყო მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი კონფლიქტში ჩაბმული შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აქაც გაუგებარია, ოთხმხრივ ჯგუფში ვინ იგულისხმება კონფლიქტში ჩაბმულად, ყველა თუ ზოგიერთი?! საბოლოოდ სურათი ასე იკვეთება: კონფლიქტის ზონა უნდა გაეკონტროლებინა გაურკვეველი შემადგენლობის შსკ-ს + გაურკვეველი შემადგენლობის სამხედრო მეთვალყურეთა ოთხმხრივ ჯგუფს. ორი სახელმწიფო დებს შეთანხმებას კონფლიქტის მოგვარების შესახებ, თუმცა, მისი ყველა სუბიექტი დაუკონკრეტებელია.

კითხვებს ბადებს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტიც:

“აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისთვის საკონტროლო კომისიასთან მხარეთა შეთანხმებით იქმნება შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით. კომისიასთან აგრეთვე შეიქმნება მეთვალყურეთა შერეული ჯგუფები, რომლებიც განლაგდებიან უშიშროების ზონის პერიმეტრზე.”

გამოდის, რომ შსკ-სთან, რომელიც კონფლიქტის მონაწილეთაგან კომპლექტდება, იქმნება შერეული ძალები. ანუ თავად კონფლიქტის მონაწილეები თანხმდებიან შერეული ძალების ფორმატზე. არც ამ და არც სხვა რომელიმე ხელშეკრულებაში ნათქვამი არ არის, ვინ შეიძლება შედიოდეს, ან არ შედიოდეს ამ შერეულ ძალებში. ამ თემას ეხება მხოლოდ 1992 წლის 10 ივნისის ყაზბეგის მორიგება, სადაც მე-3 მუხლში საუბარია კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ავღანელ მეომართაგან ერთობლივი მშვიდობისმყოფლური ქვეგანაყოფის ფორმირებაზე.

1992 წლის 4 ივლისს ვლადიკავკაზში შედგა მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრა. ხელმოწერილი იქნა ოქმი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ შეთანხმების შესასრულებლად.

1. თუ დადომისის შეთანხმების მიხედვით მხარეებად გამოდიოდნენ რუსეთი და საქართველო, ამ ოქმში, ფაქტობრივად, დასახელების გარეშე, ჩნდება ოთხი სუბიექტი და შსკ-ც მათგან კომპლექტდება.

2. ამავე ოქმით შსკ-ს დაევალა:

“3.გ. შსკ-ს უშუალო ხელმძღვანელობით შერეული ძალების შექმნა მშვიდობის უზრუნველყოფისა და მართლწესრიგის დაცვისთვის;

3.დ. შერეული ძალების გამოყენების სტრატეგიის და ტაქტიკის განსაზღვრა.

ანუ შერეული ძალების მანდატის, ფორმატის, რაოდენობის, სტრატეგიის, და ტაქტიკის საკითხები განსაზღვრულია არა რომელიმე ხელშეკრულებით, არამედ მთლიანად მინდობილია შსკ-სთვის.

არცერთი ადრე მიღებული ხელშეკრულება, არც სხვა რაიმე დოკუმენტი არეგულირებს თუ რა ფორმატით და პროცედურით ხდება მხარეთა შეთანხმება შერეულ ძალებთან დაკავშირებით. რომელი მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, აქვს თუ არა მხარეს ვეტოს უფლება და ა.შ.

ყველაფერი ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ შერეული ძალების საკითხი დადომისში მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა და მას სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

შემთხვევითი არ არის, რომ 1994 წლის 31 ოქტომბრის მოსკოვის შეთანხმებაში სადაც დაზუსტებულია მთელი რიგი საკითხები – პირველად სახელდება ოფიციალურად ოთხი მხარე, შსკ გარდაიქმნა მხარეთა მუდმივმოქმედ ორგანოდ, შსკ-ს მუშაობაში მონაწილეობს ეუთოს მისია და ა.შ. ოდნავი სიცხადეც კი არ შედის შერეული ძალების საკითხში, მხოლოდ მითითებულია დალომისის შეთანხმება: “მშვიდობის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ მშვიდობის დამცავი შერეული ძალები, რომლებიც შექმნილია შსკ-სთან 1992 წლის 24 ივნისის შესაბამისად”.

იმავე დღეს, 1994 წლის 31 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში გამართულ შერეული საკონტროლო კომისიის პირველი სხდომაზე შერეული ძალების რიცხოვრივი შემადგენლობა განისაზღვრა 1500 კაცის ოდენობით, ხოლო რეზერვისტთა რაოდენობა 900 კაცით:

500 კაცი საქართველოს რესპუბლიკისაგან და 300 კაცი რეზერვში

500 კაცი რუსეთის ფედერაციისაგან და 300 კაცი რეზერვში

500 კაცი ოსური მხარისაგან და 300 კაცი რეზერვში.

1993 წლის 1 მარტს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ევროთათბირის მისიასა და კონფლიქტის მხარეებს შორის. მასში ასახულია ეუთოს მისიის უფლებამოსილება და სამუშაო არეალი.

1993 წლის 6 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება "სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის ცნობის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ განეცხადებინა ასეთი მოთხოვნის უკანონობის შესახებ და განეცხადებინა, რომ მას არ აქვს სხვის ტერიტორიაზე გამოცხადებული რესპუბლიკის აღიარების უფლება, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაგეგმა საკითხის განხილვა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ როგორც კი ეუთომ კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოაქცია, რუსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი აშკარად კონფრონტაციის გზას დაადგენენ. სანამ რუსეთი ერთპიროვნულად მართავდა სიტუაციას, მისი ქმედებები უფრო კონსტრუქციული იყო.

1993 წლის 14 სექტემბერს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შესახებ. საქართველომ თავის თავზე აიღო ხარჯების 2/3-ის დაფარვის ვალდებულება.

1993 წლის 2 ნოემბერს მიღებულ იქნა "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ; სახელმწიფო ენა - ოსური. კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად ჩრდილოეთ ოსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვარი ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს არ უნდა უშლიდეს ოსი ხალხის ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ერთიანობას.

1993-1994 წლების მიჯნაზე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში ახალი დინამიკაა. საქართველო გახდა დსთ-ის წევრი. დაიწყო მუშაობა სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებაზე. ამ ფონზე ოსური საკითხიც ახალ ჟღერადობას იძენს. კვლავ დაიწყო საუბარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რაიონების რეაბილიტაციაზე ერთობლივი რუსულ-ქართული ძალისხმევით.

1994 წლის 14 ივნისს ქ. ვლადიკავკაზში საქართველოში ევროთათბირის მისიის ინიციატივით გაიმართა სამშვიდობო და შერიგების პროცესის შემდგომი გაგრძელებისაკენ მიმართული შეხვედრა. მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება. მხარეები შეთანხმდნენ:

1. ერთობლივად იმუშაონ კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციისათვის;
2. ერთობლივად ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულს, განსაკუთრებით, ნარკობიზნესის სფეროში;
3. აღადგინონ საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციები ცხინვალსა და სხვა ქალაქებს შორის;
-
8. ერთობლივი საკონტროლო კომისიის მუშაობის დაუყოვნებლივი აღდგენის აუცილებლობაზე ან სხვა ოთხმხრივი ერთობლივი ორგანოს შექმნაზე (რუსეთი, საქართველო, სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი), მათში ევროთათბირის მისიის მონაწილეობით;

9. ხელი შეუწყონ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებასა და კანონის შესრულებას, ევროთათბირის მისიის სამეთვალყურეო ფუნქციის განხორციელებით;

10. ერთობლივად შექმნან მატერიალური და იურიდიული ბაზა ლტოლვილთა სასწრაფოდ დაბრუნებისათვის, მიმართონ სამშვიდობო ძალებს აუცილებელი პირობების მოსამზადებლად ლტოლვილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფი-სათვის და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარს სათანადო მხარდაჭერისათვის.

1994 წლის 4 ივლისს გაფორმდა მორიგების ოქმი საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებული რაიონების ეკონომიკის აღდგენის შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 1993 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმებისა.

1994 წლის 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში მხარეებს შორის (ქართული, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის) ევროთათბირის მისიის მონაწილეობით ფორმდება შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის შემდგომი განვითარებისა და შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ. მხარეებმა აღნიშნეს, რომ:

ა) დადომისის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების შესასრულებლად შექმნილმა შერეულმა საკონტროლო კომისიამ (ძირითადად) შეასრულა თავისი ფუნქციები ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შეიარაღებული ფორმირებების გასაყვანად და უსაფრთხოების რეჟიმის დასაცავად, რითაც სათავე დაუდო პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს;

...

გ) შსკ უნდა გარდაიქმნას მუდმივად მოქმედ მექანიზმად, რომ გეგმაზომიერად და კოორდინირებულად მონაწილეობდეს მოწესრიგების სხვადასხვანაირი - პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო), ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვა ასპექტების გადაწყვეტაში.

მხარეებმა მიიღეს დებულება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის შესახებ...

დებულებაში აღნიშნულია, რომ შსკ შეიქმნა და მოქმედებს 1992 წლის 24 ივნისის დადომისში რუსეთსა და საქართველოს შორის შორის საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების რეჟიმის უზრუნველყოფის, აგრეთვე მშვიდობის დასამყარებლად და საომარი მოქმედებების აღკვეთის, დაზარალებული რაიონების აღდგენის, ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნებისა და მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში მოწყობისათვის მხარეთა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად.

შსკ არის კონფლიქტის მოწესრიგებაში და მისი შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე ოთხი მხარის მუდმივმოქმედი ორგანო. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოში ეუთო-ს (შემდგომში ეუთო) მისია. შსკ-ს კომპეტენციაში შედის სამშვიდობო ძალებისა და დანიშნულ მეთვალყურეთა საქმიანობის კოორდინაცია. შსკ მუდმივ კავშირშია კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებთან და ღებულობს გადაწყვეტილებებს მათი შემდგომი გამოყენების თაობაზე. შსკ-ს ფუნქციებში შედის:

ა) კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული მხარეების შეთანხმებების შესრულების კონტროლი, წინადადებათა შემუშავება და მათი რეალიზაციისათვის მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება;

ბ) პოლიტიკური, სამხედრო (სამშვიდობო), სამართალდაცვის, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვა სახის პრობლემების გადასაჭრელად პირობების შექმნისათვის ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელება;

გ) დიალოგის შემდგომი განვითარებისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის ხელშეწყობა;

დ) ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რაიონების ეკონომიკური აღდგენის საკითხთა განხილვა და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

ე) კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონტროლის ორგანიზაცია,

ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულებისა და ძირითადი სამუშაო მიმართულებების ამოცანების გადასაწყვეტად შსკ მხარეთა შესაბამისი სპეციალისტებისაგან ქმნის აუცილებელ სამუშაო ჯგუფებს.

სამუშაო ჯგუფები ასრულებენ სამუშაოს ანალიტიკური მასალების, შსკ-ს გადაწყვეტილებათა პროექტების მოსამზადებლად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოლაპარაკებათა წარმოებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ისინი უფლებამოსილნი არიან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიონ ექსპერტები, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან მოითხოვონ აუცილებელი ინფორმაციები.

სამუშაო ჯგუფების დასკვნები და წინადადებები განიხილება შსკ-ს სხდომებზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების თაობაზე შეთანხმების მანდატისა და თანდართული ოქმის საფუძველზე შეიმუშავებს და განახორციელებს მშვიდობისა და მართლწესრიგის დაცვის, საომარი მოქმედებების განუახლებლობის უზრუნველყოფა ზომებს.

შსკ კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას განიხილავს და აფასებს მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მიერ მისი მოთხოვნით წარმოდგენილი ინფორმაციების საფუძველზე.

ამის შემდეგ შედგა შერეული საკონტროლო კომისიის რამდენიმე სხდომა. იყო ქართველ და რუს პოლიტიკოსთა შეხვედრა ქ. ვლადიკავკაზში. მხარეები იწყებენ მუშაობას კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე. ამავე საკითხზე მუშაობს ეუთოც.

1995 წლის 30 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში ხელმოწერილ იქნა ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ოქმი საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებისა ეუთოს მონაწილეობით.

მხარეები შეთანხმდნენ დაუყონებლივ დაიწყონ მოლაპარაკებათა პროცესი. ამ მიზნით მხარეთა საექსპერტო ჯგუფებს დაევალიათ უახლოეს დროში წინადადებების მომზადება შემდეგ საკითხებზე:

- უშიშროების ღონისძიებები და გარანტიები;
- მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება;
- ეკონომიკური აღდგენა და სამეურნეო კავშირების გამართვა;
- სამხრეთ ოსეთის სტატუსი.

მხარეებმა შესაძლებლად ჩათვალეს მოლაპარაკებათა პროცესში თავიანთი პარლამენტარების მონაწილეობაც.

ამ პროცესის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს 1996 წლის 16 მაისს ქ. მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმი ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ (საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებისა ეუთოს მონაწილეობით). აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოსა და "სამხრეთ ოსეთის" მხარეთა წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულია კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების მზადყოფნა, მიღწეულია შეთანხმება, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე პირები, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სამხედრო დანაშაული, აგრეთვე დანაშაული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, არ ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ დევნას; მხარეები უახლოეს დროში მუშაობის საჭირო პირობებს შეუქმნიან სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიებისათვის, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემისათვის; სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისაკენ წინსვლის კვალობაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა სოციალურ მორიგებათა საფუძველზე თანდათანობით დემილიტარიზებული იქნება. დემილიტარიზებულ ზონაში შეიძლება იყვნენ სამშვიდობო ძალები; მხარეები განაგრძობენ მოლაპარაკებას სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით.

1996 წლის 27 აგვისტოს ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა. მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება. შეხვედრამ დაადასტურა ტენედენციის გაღრმავება ქართულ-ოსური ურთიერთობების გაღრმავებისაკენ, რასაც საფუძველი დაუდო 16 მაისის მემორანდუმმა.

1996 წლის 10 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეთნიკური ნიშნით დაზარალებული ოსების უფლებების აღდგენის მოთხოვნის შემცველი წერილით.

1996 წლის 9 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩრდილოეთ ოსეთსა და "სამხრეთ ოსეთს" შორის სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ექსპერტთა ნაწილის აზრით ეს შეთანხმება ხაზგასმით პოლიტიკური არ არის და საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო მისი სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე როკის გვირაბის მეშვეობით გზა გაეხსნა კონტრაბანდული ტვირთის შემოტანას საქართველოში. აღნიშნული დოკუმენტი აღმოჩნდა "მწვანე შუქი" ერგენტის ბაზრობის გასახსნელად.

1996 წლის 10 ნოემბერს გაიმართა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტად არჩეულ იქნა ლ. ჩიბიროვი. საქართველოს პარლამენტმა 26 ნოემბერს მიღო **დადგენილება ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის ნაწილზე 1996 წლის 10 ნოემბერს გამართული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევით გამართული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მიჩნეულ იქნა იურიდიული ძალის არმქონედ.**

1997 წლის 5 მარტს ქ. მოსკოვში გაიმართა საქართველოსა და "სამხრეთ ოსეთის" მხარეების სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი დელეგაციების შეხვედრა ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მიზნით. ხელმოწერილ იქნა შეხვედრის ოქმი (საქართველო, სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთის ფედერაცია, ეუთო) და მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების შემდგომი ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრაზე გახილულ იქნა საკითხი ვლადიკავკაზის 27 აგვისტოს მორიგებათა ფარგლებში ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მუდმივი მოლაპარაკების პროცესის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. შეხვედრის შედეგად მოლაპარაკებათა პროცესის ყველაზე აქტიური სუბიექტები ხდებიან მხარეების დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ კონსულტაციებს კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების საკითხებზე. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ შესაბამისად, ეს საკითხი გამოდის შერეული საკონტროლო კომისიის კომპეტენციის სფეროდან, რითაც ხაზი ესმება ეუთოს როლის დაკნინებას. შეხვედრამ აჩვენა, რომ პრობლემური გახდა კონფლიქტში მონაწილე მესამე მხარის სტატუსი: შუამავლის, გარანტიორისა და მონაწილის. ჩრდილოეთ ოსეთს, რომელიც არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ენიჭება უფრო მაღალი სტატუსი, ვიდრე ეუთოს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ დოკუმენტებში ეუთოს წარმომადგენლები ფიქსირდებიან მხოლოდ პიროვნული მონაწილეობის დონეზე და არა როგორც მონაწილე მხარე. დამაფიქრებელია, რომ ასეთი რანგირების წინააღმდეგ არ გამოდის ქართული მხარე. სავარაუდოა, რომ რუსეთი კვლავ ცდილობს ხაზი გაუსვას თავის დომინანტურ როლს კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

1997 წლის მაისიდან იწყება მხარეების მიერ პროექტების წარმოდგენა პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრის საფუძველების შესახებ (1997 წლის ივლისი - პროექტს წარმოადგენს რუსეთი; სექტემბერში - "სამხრეთ ოსეთი"). ქართული მხარი პროექტის წარდგენა ხდება დაბა ჯავაში 1997 წლის 14 ნოემბერს გამართული ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის შეხვედრის შემდეგ, რომელზეც ძირითადად განხილულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

1998 წლის 20 ივნისს ქ. ბორჯომში გაიმართა მორიგი შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესა და ლუდვიგ ჩიბიროვს შორის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ბორის პასტუხოვის მონაწილეობით. განხილულ იქნა პრობლემების ფართო სპექტრი. აღინიშნა

კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის დადებითი დინამიკა. ხაზი გაესვა, რომ აღნიშნულ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტის დაზარალებული რაიონების ეკონომიკური რეაბილიტაცია და განვითარება, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული აღდგენისა და განვითარების პროგრამების რეალიზაცია, რომელთაგან ზოგიერთი უკვე აქტიურად ხორციელდება. გამოითქვა განზრახვა გაჩანაგებული ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით უცხოელი დონორებისადმი მიმართვის თაობაზე. შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ევროპის კავშირის ინიციატივა გამოჰყოს 3,5 მილიონი ეკიუ კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისათვის. ოსური მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული საქართველოს ხელისუფლების მიერ სოფელ მიტარბში ოსი ეროვნების მოსახლეობის დაბრუნება და გამოითქვა სურვილი, რომ იგივე პროცესი გაგრძელდეს სხვა რეგიონებში. ანალიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ამ პერიოდში იგვიანებს პოლიტიკური შეთანხმებისაკენ მიმართული ნაბიჯები.

პროცესის აქტუალიზაციას ცდილობს ეუთო. 1999 წლის 15 იანვრით დათარიღებულ ეუთოს მისიის ანგარიშში განხილულია კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ე.წ. შუალედური დოკუმენტის ქართული, ოსური და რუსული ვერსიები, რომელთა შექმნა 1997 წლის მარტში, მოსკოვში შეხვედრისას გადაწყდა.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეუთო ხელს უწყობდა მოლაპარაკებათა პროცესს, აკეთებდა კომენტარებს მხარეთა პოზიციებზე, ამოდიოდა საერთაშორისო საზღვრების ურღვეობის პრინციპიდან. ამავე დროს, იგი დამოკიდებული იყო კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ნებაზე.

რაც შეეხება რუსეთს, მისი პოზიცია არაერგვაროვანია. ზოგჯერ რუსული დიპლომატია ფებს უწყობდა ეუთოს დაინტერესებას კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესის მიღწევის თაობაზე, მაგრამ, არა იმდენად. მოლაპარაკებათა მრავალწლიანი მართონი ცხადყოფს, რომ:

ა) რუსეთს ჰქონდა სერიოზული გავლენა სამხრეთ ოსურ პოზიციაზე, რუსეთი ხშირად ახდენდა გავლენას ქართულ პოზიციაზეც;

ბ) რუსეთი ცდილობდა ეუთოს როლის შედარებით დაკნინებას, ქართული მხარე კი, ჩანს არასაკმარისად ეწინააღმდეგებოდა ამ ტენდენციას. არსებითად ეუთოს მეორე პლანზე გადაწევის აღნიშნული ტენდენცია ცხადყოფდა რუსეთის მისწრაფებას, არ დაეშვა ევროპისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების თანასწორუფლებიანი მონაწილეობა სამშვიდობო პროცესში.

ის, რომ ეუთოს როლი საქართველოსათვის ობიექტურად სასარგებლო იყო და რუსეთი მასში საკუთარი დომინანტური მდგომარეობისათვის საფრთხეს ხედავდა, ჩანს იქიდანაც, რომ რუსეთმა 2004 წელს ვეტო დაადო ეუთოს მიერ რუსეთ- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ტერიტორიის მონიტორინგის პროგრამის გაგრძელებას.

1999 წლის 16-17 თებერვალს ვლადიკავკაზში გამართულ მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების შეხვედრაზე განხილულ იქნა შუალედური დოკუმენტის პრინციპები. ცხინვალის მხარე ექვევებ აყენებს აღნიშნული დოკუმენტის საჭიროებას იმ მოტივით, რომ იქამდეც მიღებული ბევრი დოკუმენტი პრაქტიკულად შეუსრულებელი დარჩა და შემოდის წინადადებით - მთლიანად გადაიხედოს ყველა ხელმოწერილი შეთანხმების შესრულების პროცესი, ძირითადად, "სამხრეთ ოსეთის" რეაბილიტაციის კუთხით. ქართული მხარე არ იწონებს ცხინვალის ინიციატივას - პრიორიტეტი მიენიჭოს ეკონომიკური აღდგენის საკითხებს და დაიჩრდილოს პოლიტიკური საკითხები.

1999 წლის 10-11 სექტემბერს დაბა ჯავაში გაიმართა მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების შეხვედრა. იმისათვის, რათა არ დამაბულიყო ურთიერთობა მხარეთა შორის, შეხვედრაზე თავი აარიდეს იმ საკითხებზე მსჯელობას, რომელთა მიმართაც არ იყო მიღწეული აზრთა ერთიანობა:

1. ე.წ. "შუალედური დოკუმენტის" დასახელება.
2. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი.
3. საერთაშორისო გარანტიების საკითხი.

- პირადობის დამადასტურებელი და სამოგზაურო დოკუმენტების საკითხი.
- "სამხრეთ ოსეთის" კონსტიტუცია, სახელისუფლებო შტოები, სიმბოლიკა. შეხვედრაზე ძირითადად განხილულ იქნა ის საკითხები, რომლებიც არ წარმოადგენენ დავის საგანს მხარეთა შორის.

2000 წლის 13 ივლისს მხარეთა წარმომადგენლების მიერ ბადენში (ავსტრია) პარაფირებულ იქნა შუალედური დოკუმენტი, რომელსაც საბოლოო განხილვისა და პარაფირების ადგილის მიხედვით ბადენის დოკუმენტი ეწოდა. ექსპერტთა აზრით ბადენის დოკუმენტი შეიძლება შეფასდეს წლების განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად და შემდგომში მხარეთა მიერ კეთილი ნების გამოვლენისა და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლის შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა შეუთანხმებელი პოზიციების შეთანხმებაც.

პუნქტები, რომლებზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ:

- მე-4 პუნქტი - სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის უფლებათა პრინციპებს შორის მისაღები ბალანსის თაობაზე;
- მე-5 პუნქტი - "სამხრეთ ოსეთის" კონსტიტუცია, სახელისუფლებო შტოები, სიმბოლიკა;
- მე-12 პუნქტი - პირადობის დამადასტურებელი და სამოგზაურო დოკუმენტების საკითხი;
- მე-13 პუნქტი - საერთაშორის გარანტიების საკითხი.

ვენა/ბადენის შეხვედრის შემდეგ ეუთომ და რუსეთის ფედერაციამ სცადეს მოლაპარაკებები ეწარმოებინათ თბილისსა და ცხინვალში, რათა პარაფირებული "შუალედური დოკუმენტის" ტექსტი საბოლოოდ ყოფილიყო შეთანხმებული და ხელმოწერილი. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ თუ საქართველოს წინა ხელისუფლებას ექნებოდა შესაბამისი ნება კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისა და კონფლიქტის რეგიონის საკუთარ სამართლებრივ სივრცეში მოქცევისა, მაშინ იგი გამოიჩინდა გონივრული კომპრომისის მეტ უნარს და "შუალედური დოკუმენტის" შეუთანხმებელ პუნქტებს არ აქცევდა მოკლე პერსპექტივაში პრობლემურად, არამედ, აღნიშნული დოკუმენტის პოზიტიურ დინამიკას გათვლიდა გრძელვადიან პერსპექტივაში.

2000 წლის 23 დეკემბერს ქ. თბილისში საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნებაში ურთიერთქმედების შესახებ. დოკუმენტში, ძირითადად, საუბარია დევნილების დაბრუნებისა და ეკონომიკის განვითარების შესახებ.

2001 წლის 18 იანვარს მიღებულ ევროპარლამენტის რეზოლუციაში საუბარია დევნილების დაბრუნების შესახებ. აღიარებულია, რომ აფხაზეთი და "სამხრეთ ოსეთი" დეფაქტო აღმოჩნდნენ საქართველოს იურისდიქციის გარეთ. ამ დოკუმენტში პირველად არის დაფიქსირებული რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ. ეჭვქვეშ არის დაყენებული კონფლიქტის ზონაში რუსეთის მიუკერძოებლობა საშუამავლო ფუნქციის განხორციელებისას. რეზოლუციაში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფად აღიქმება და მოუწოდა რუსეთის ფედერაციის მთავრობას, გადაესინჯა ეს გეგმები და გაეთვალისწინებინა, რომ შესაძლებელია მათი აღქმა საქართველოს უდავო ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიად.

ექსპერტთა ნაწილი თვლის და ალბათ სრულიად სამართლიანადაც, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ აღნიშნული დოკუმენტი არ იქნა სათანადოდ გამოყენებული რუსეთის აგრესიული ქმედობების საერთაშორისო განსჯის საგნად ქვეყნისათვის.

2001 წლის 8 აპრილს მიღებულ იქნა "სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). "სამხრეთ ოსეთი" ამ კონსტიტუციის მიხედვით, გამოცხადებულია სუვერენულ სახელმწიფოდ; სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ოსური ენა, ხოლო ხოლო "სამხრეთ ოსეთის" ქართველი ეროვნების მოქალაქეების კომპაქტური ბინადრობის ადგილებში -

ქართულ ენაც სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში აღიარებულია ოფიციალურ ენად.

კონსტიტუციის მიხედვით, "სამხრეთ ოსეთს" მინიჭებული აქვს უფლება, შეუერთდეს სხვა სახელმწიფოს განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე; კონსტიტუციით განსაზღვრულია "სამხრეთ ოსეთის" მოქალაქეობისა და მისი სახელმწიფოს მეთაურის საკითხი. ექსპერტთა აზრით, ამ დოკუმენტში არ არის საუბარი სახელმწიფო მართვის ფორმებზე, სახელმწიფო სტრუქტურებზე და, აქედან გამომდინარე, მას დეკლარაციის სახე უფრო აქვს, ვიდრე კონსტიტუციისა, ამასთან გამორიცხული არ არის, რომ აქცენტი სუვერენიტეტზე და არა დამოუკიდებლობაზე, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოსთან შეერთების შესაძლებლობის აღნიშვნა, კონსტიტუციაში ოსური მხრიდან დატოვებულ გარკვეულ "სარკმელს" წარმოადგენდეს საქართველოსთან შესაძლო კომპრომისისათვის.

2001 წლის 22-23 აპრილს ქ. ვლადიკავკაზში გამართულ მხარეთა სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების მე-5 შეხვედრაზე ბადენის დოკუმენტი მოხსენიებულიც კი არ არის, "შუალედური დოკუმენტის" შემდეგ, რომელიც კონკრეტულ პოზიციებს შეიცავდა კონკრეტული პოლიტიკური საკითხების მიმართ, უბრუნდებიან ისევ "ნდობის ზომებს". წინა პლანზე კვლავ შერეული საკონტროლო კომისია გამოდის.

2001 წლის 21 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა მემორანდუმი ი. მ. ლუჟკოვსა და ლ. ა. ჩიბიროვს შორის "სამხრეთ ოსეთსა" და მოსკოვს შორის მეგობრული ურთიერთობებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების, კავშირგაბმულობის, განათლების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობის დამყარებისა და განვითარების შესახებ. დოკუმენტი ინტერესს იწვევს იმით, რომ მიუხედავად 2001 წლის 8 აპრილს მიღებული კონსტიტუციის ძალით "სამხრეთ ოსეთის" სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადებისა, აღნიშნული მემორანდუმი იურიდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ საქართველოს მხრიდან მის პირობებზე თანხმობის შემთხვევაში; ანუ კონსტიტუციის მიღების შემდეგაც ამ დოკუმენტით სამხრეთ ოსეთს ისევ შემოჰყავს საქართველო, როგორც მისი განვითარების ფაქტორი. არსებითად, დოკუმენტი იკითხება, როგორც საქართველოს რეგიონსა და რუსეთის რეგიონს შორის ურთიერთობა.

2001 წლის 14-19 სექტემბერს ქ. ბუქარესტში ევროკავშირის წარმომადგენლობის მონაწილეობით გამართულ მხარეების სრულუფლებიან დელეგაციათა საექსპერტო ჯგუფების მე-6 შეხვედრაზე ევროკავშირმა პატრონაჟის ქვეშ იქნა აიყვანა შსკ და იკისრა მისი სხდომების დაფინანსება.

2002 წლის 26-29 ოქტომბერს ქ. კაშტელუ-ბრანკუში (პორტუგალია) გამართულ მხარეთა სრულუფლებიანი დელეგაციების საექსპერტო ჯგუფების მე-8 შეხვედრაზე არ ყოფილა არავითარი ინიციატივა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების გზების ძიების მხრივ. ევროპული სტრუქტურები მხოლოდ იმას აფიქსირებენ, რომ "პოზიტიური დინამიკა გარკვეულ მიზეზთა გამო დაირღვა", თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რა მიზეზებმა შეუშალა ხელი ამ პოზიტიურ დინამიკას.

2003 წლის 2 მარტს "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მისი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, ედუარდ შევერდნაძესთან მოცემულ ეტაპზე არამართლზომიერია, რადგანაც მისი აზრით, სწორედ, შევარდნაძეა დამნაშავე ოსი ხალხის გენოციდში. ე. კოკოითის აზრით, ლ. ჩიბიროვი, თანხმდებოდა რა საქართველოს მხარესთან და საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობაზე, ღალატობდა ოსი ხალხის ინტერესებს.

2003 წლის 14 მარტს "სამხრეთ ოსეთის" ადმინისტრაციის წარმომადგენელი მურად ჯიოევი მიმართავს ეუთოს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ჟან-მიშელ ლიაკომბს, თხოვნით, ეუთომ განახორციელოს კონფლიქტის ზონის ინსპექტირება, რათა უარყოფილ იქნეს ქართული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს 2002 წლის დეკემბერში, რუსეთის სამხედრო ინტერუქტორების მეთვალყურეობის ქვეშ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადმოვიდა მძიმე ტექნიკის 13 ერთეული.

2003 წლის 23 ივნისს ქ. მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება საქართველოსა და რუსეთს შორის ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ სახელმწიფოთაშორისი პროგრამის შესამუშავებლად.

2003 წლის 17 ოქტომბერს ჰააგაში (ნიდერლანდები) გაიმართა მხარეთა სრულყოფილი დელეგაციების საექსპერტო ჯგუფების მე-10 შეხვედრა. ევროპული სტრუქტურების მიერ მოლაპარაკებათა პროცესის ხელშესაწყობად გამოყოფილი იქნა 2003 წლისათვის 210.000 ევრო, რომლითაც დაფინანსდა საექსპერტო ჯგუფების ორი და მსკ-ს 8 შეხვედრა.

"სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტთან მიმართებაში პოსტრევოლუციური ტენდენციები პირობითადაა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 2004 წლის ზაფხულის კრიზისი და მას შემდგომ განვითარებული მოვლენები.

"ვარდებისა" და აჭარის რევოლუციების წარმატების შემდეგ, ქართულ საზოგადოებრიობაში გაჩნდა ხავერდოვანი რევოლუციის "სამხრეთ ოსეთში" განვრცობის მოლოდინი. იმ პირობებში, როდესაც საყოფაცხოვრებო დონეზე კონფლიქტი თითქოსდა ამოწურული გახლდათ, როცა კონფლიქტის ზონაში შესაძლებელი იყო შეუფერხებელი გადაადგილება, ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ქართველებსა და ოსებს შორის ერთობლივ ვაჭრობას, ამ მოლოდინს საკმაოდ სერიოზული საფუძვლები გააჩნდა. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ კოკოითის რეჟიმი, რომელიც ადგლობრივ მოსახლეობაში სათანადო ავტორიტეტით არ სარგებლობდა, ძირითადად საზრდოობდა კონტრაბანდით. ერგნეთის ბაზრობა ერთის მხრივ უთუოდ უწყობდა ხელს ქართველი და ოსი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონეზე დაახლოების საკითხს, მაგრამ ამავდროულად, ბაზრობაზე კონტრაბანდული საქონლის მიმოქცევის მასშტაბები ღებულობდა საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად საშიშ ფორმებს.

სეპარატისტული რეჟიმის ძირითადი მასაზრდოებელი წყაროს, ერგნეთის ბაზრობის დახურვით და "კუმანტარული შტურმის" განხორციელებით საქართველოს ხელისუფლება შეეცადა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ლოიალობის მოპოვებას. აღნიშნულმა მეთოდმა ამჯერად არ გაჭრა, ვინაიდან რეგიონში მცხოვრები ოსები, მიუხედავად კოკოითის კრიმინალური რეჟიმისადმი მათი ნეგატიური დამოკიდებულებისა, გასაგებ მიზეზთა გამო არ იყვნენ სათანადო ნდობით აღჭურვილი თბილისისადმი. ამ ვითარებისა, და ამავდროულად, რუსეთის ფაქტორის არასათანადო შეფასებამ გამოიწვია 2004 წლის ზაფხულის კრიზისი და შეიარაღებული შეტაკებები.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, აღნიშნულმა მოვლენებმა კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. ამავდროულად, ამ მოვლენათა ფონზე სახეზეა კონფლიქტის სტატიკური ფაზიდან დინამიურზე გადასვლა. 2004 წლის ზაფხულის კრიზისის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოხდა არჩეული ტაქტიკის სერიოზული გადაფასება და იმის უკეთ გააზრება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა უფრო გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას საჭიროებს.

უკვე 2004 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის 59 სესიის სხდომაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი დასვა. ამას მოჰყვა 2004 წლის 5 ნოემბერს ზ. ჟვანიასა და ე. კოკოითის შეხვედრა სოჭში, სადაც ხელი მოეწერა დემილიტარიზაციის შეთანხმებას. მხარეები აგრევე შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასურველი იქნებოდა ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

2005 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნლიდან გაახმოვანა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ.

აღნიშნული ინიციატივების კონცეფციების დონეზე დეტალური განხილვა მოხდა საქართველოს მთავრობისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე ბათუმში 2005 წლის ივლისში. კონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისი მზად არის მისცეს "სამხრეთ ოსეთს" ყველაზე ფართო ავტონომია, უზრუნველყოს ის

თვითმმართველობის მეტად მაღალი ხარისხით, პრივილეგირებული საგადასახადო და ეკონომიკური რეჟიმებით.

ბათუმის კონფერენციაზე პრეზიდენტის სპიკერის მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული კონფლიქტის მოგვარების ე.წ. "საგზაო რუკა"(სტრატეგიული დოკუმენტი) ეს დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაკეთებულ განცხადებებში დაფიქსირებული პოზიციების ჩამონათვალს წარმოადგენს ითვალისწინებს კონკრეტულ წინადადებებს კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ:

1. უსაფრთხოების მიმართულებით (დემილიტარიზაცია, ერთობლივი საპოლიციო მოქმედებები, მცირე შეიარაღების ამოღება და ა.შ.);
2. ეკონომიკური რეაბილიტაციის მიმართულებით (გორი-ცხინვალის სარკინიგზო კომუნიკაციის აღდგენა, ხელშემწყობი ეკონომიკური ზონის შექმნა, მცირე საწარმოთა ფინანსური დახმარება და სხვ);
3. ნდობის აღდგენის მიმართულებით (კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის კანონის მიღება, ფინანსური დავალიანებისა და პენსიების გაცემა, სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფა და სხვა);
4. პოლიტიკური მიმართულებით (ქართული და სამხრეთ ოსური მხარეების თანამშრომლობა ვენეციის კომისიასთან, ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსის შესახებ).

"საგზაო რუკა" კვლავ ადასტურებს საქართველოს პრემიერ მინისტრ ზ. ჟვანიასა და ცხინვალის დე-ფაქტო ლიდერის ე. კოკოითის 2004 წლის 5 ნოემბრის შეთანხმებათა აქტუალობას. ეს დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ეუთოს როლის შემდგომ გაზრდას. გვთავაზობს ეუთოს ფარგლებში "მეგობარი ქვეყნების" ჯგუფის შექმნას, რომლის წევრები მონაწილეობას მიიღებენ შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში. "საგზაო რუკა" გულისხმობს აგრეთვე კონფლიქტის ფართო სამხედრო მონიტორინგის განხორციელებას, მათ შორის ეუთოს მიერ რუსეთთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგს. დოკუმენტში აღნიშნულია ასევე საქართველოს სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავების აუცილებლობა კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 აგვისტოს განკარგულებით შექმნილი და სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რომელშიც ყველა სამთავრობო უწყება მინისტრის მოადგილეების დონეზეა წარმოდგენილი.

საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის უფრო ვრცელი და კონკრეტული გეგმა გაჟღერდა 2005 წლის დეკემბერში ეუთოს ლიუბლიანას მინისტერიალზე პრემიერ მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მიერ.

სამოქმედო გეგმაში იკვეთება მოქმედებათა სამი ეტაპი:

- კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია;
- სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია;
- "სამხრეთ ოსეთის" საბოლოო სტატუსის განსაზღვრა.

ეუთოს წევრი ქვეყნები მიესალმნენ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივებს და იმედი გამოთქვეს, რომ ისინი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გარანტი გახდება.

კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევენ ადგილობრივი ექსპერტებიც. ამასთან მათი აზრით, აღნიშნული გეგმის რეალიზაციის მეტად შეზღუდული დროითი ჩარჩოები, რომელიც სამივე ეტაპის დასრულებას 2006 წლის სექტემბრამდე განსაზღვრავს, საფრთხეს უქმნის მის რეალურ განხორციელებას.

მხარეთა შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, იმედისმომცემი იყო "სამხრეთ ოსეთის" დე-ფაქტო პრეზიდენტ კოკოითის მიერ პრეზიდენტების პუტინისა და სააკაშვილის, აგრეთვე ეუთოს წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც ის აქცენტს ერთობლივი სამშვიდობო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე აკეთებდა. კოკოითის შემხვედრი წინადადებები კონფლიქტის მოწესრიგების იმავე სამეტაპიან მიდგომას უჭერს მხარს

და შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მოქმედებათა ერთიანი გეგმის შემუშავების ინიციატივით გამოდის. თუმცა, ანალიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ კოკოითის პოზიციის უეცარი მეტამორფოზა დროის გაყვანის ტაქტიკაა და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, კონფლიქტის გარშემო მიმდინარე ბოლო პროცესები ადასტურებენ ამ მოსაზრებათა სერიოზულ საფუძვლიანობას.

რაც შეეხება მოლაპარკებათა პროცესს, დღეისათვის, შერეული სამშვიდობო კომისია კვლავაც რჩება კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთ ოფიციალურ მექანიზმად. თბილისის მხრიდან არაერთგზის გაჟღერდა აღნიშნული ფორმატის შეცვლის აუცილებლობა იმ საბაბით, რომ ქართული მხარე უმცირესობაშია, რაც შეუძლებელს ხდის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალები - ქართველ, ოს და რუს მშვიდობისმყოფელთა მონაწილეობით - აკონტროლებენ გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, გახშირებული შეიარაღებული ინციდენტები, ადამიანთა გატაცებისა და დაკარგვის ფაქტები განსაკუთრებულად შემაშფოთებელია. არ გამოირიცხება ალბათობა იმისა, რომ ასეთმა ინციდენტებმა გამოიწვიოს სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა და კონფლიქტის დაბრუნება შეიარაღებულ ფაზაში. ქართულმა მხარემ შექმნილი სიტუაციაზე პასუხისმგებლობა რუს მშვიდობის მყოფელებს დააკისრეა და პარლამენტის 2005 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით 2006 წლის 10 თებერვლამდე მოითხოვა სიტუაციის გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი კონფლიქტის ზონიდან მთლიანად გაყვანის საკითხის დასმით დაიმუქრა.

საქართველოს პარლამენტმა "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ვითარებისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის შესახებ" 2006 წლის 15 თებერვალს მიღებულ დადგენილებაში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განლაგებული სამშვიდობო ძალების მიერ მანდატის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა შეფასდა მკვეთრად უარყოფითად, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქმედებები – საქართველოს ამ რეგიონის ანექსიის პერმანენტულ მცდელობად.

დადგენილების მეორე მუხლით საქართველოს მთავრობას დაევალა "ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 ოქტომბრის 1927-III დადგენილების მე-4 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების ამოქმედების პროცედურები, მათ შორის, სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების გადახედვის, აგრეთვე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ეფექტიანი საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციით ჩანაცვლების მიზნით.

აღნიშნული აღნიშნული ფორმულირება საქართველოს ხელისუფლებას უტოვებს სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციით შესაცვლელად მანევრირების გაცილებით მეტ შესაძლებლობას.

კომისიის აზრით, უთუოდ გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება არის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კოკონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ რუსეთისა და საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთა დონეზე ხელმოწერილი ერთადერთი დოკუმენტი (იხილეთ კომისიის საიტზე), აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ დოკუმენტის ზოგიერთი მუხლის დებულების დაზუსტებისა და გადახედვის აუცილებლობის მიუხედავად, მთლიანობაში ის მიმართული იყო კონფლიქტის მოწესრიგებისა და რეგიონში სტაბილურობის აღსადგენად.

სოჭის შეთანხმების მე-2 მუხლი ითვალისწინებს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას და კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჩაბმის შესაძლებლობათა გამორიცხვას. (სამწუხაროდ, დღეისათვის რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ისტებლიშმენტი გაცილებით უფრო ხისტ პოზიციას იკავებს, რაც გამოიხატება არამარტო იმაში, რომ ისინი კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთ გარანტად რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მოიაზრებენ, არამედ უფრო მეტიც, ამ ძალებს ისინი მიიჩნევენ

აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში ე.წ. რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დამცველებად).

2005 წლის შემოდგომაზე, 20 სექტემბერს ცხინვალში მომხდარი აფეთქების შედეგად სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. პრემიერ მინისტრ ზ. ნოღაიდელსა და ე. კოკოითს შორის სექტემბრის ბოლოს დაგეგმილი შეხვედრა რამდენჯერმე გადაიდო და ჯერაც არ შემდგარა. ამავდროულად, კონფლიქტის ზონაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენული სიტუაცია და ხშირია ადამიანთა გატაცების ფაქტები. ასეთ პირობებში, როგორც არასდროს, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველ და ოს ხალხთა შორის ნდობის აღდგენისაკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა როგორც სახელისუფლებო, ისე საზოგადოებრივ დონეზე.

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არქივი.*
2. *ელთოს მისიის ანგარიშების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ანალიტიკური მასალები ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით.*
3. *Региональные конфликты в Грузии - Юго-Осетинская автономная область, Абхазская АССР (1989-2005). Сборник политико-правовых актов. Тбилиси 2005. Составитель и главный редактор Т. Диасамидзе.*
4. *Статус автономных регионов в Абхазии и Юго Осетии в составе Грузии (1917-1988). Сборник политико-правовых актов. Тбилиси 2004. Составитель и главный редактор Т. Диасамидзе.*
5. *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ. თბილისი, 2005. ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო".*
6. *საქართველოს პარლამენტის დადგენილებები.*